პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 შაბათი 29 იანვარი № 24 (16761) ფასი 2 კაპ. 1977

საქართველოს მშრომელთა პირობა

საქართველოს სსრ მშრომელები, რომლებმაც გადიდებული ვალდებულებები იკისრეს სტალინგრადელ [illegible] წლისა და მეათე ხუთწლედისათვის, შეჯიბრებაში იწვევენ აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკების მშრომელებს, და ალუთქვამენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, რომ დაუცხრომლად იშრომებენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, მთელ ძალღონეს, ენერგიასა და ცოდნას მოახმარენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრის სამზადისს, ხუთწლედის საპატიო მიჯნების წარმატებით მიღწევას.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის შესახებ

28 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობა დაიწყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმმა.

პლენუმი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

პლენუმს ესწრებიან პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, რესპუბლიკის სამინისტროებისა და მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტების ხელმძღვანელები და პასუხისმგებელი მუშაკები.

ამტკიცებენ პლენუმის დღის წესრიგს:

1. რესპუბლიკის ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებანი იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებიდან.

მომხსენებელი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ა. ჩხეიძე.

2. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს საქმიანობა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის შემდეგ და დისციპლინის განმტკიცებისათვის განხორციელებული ღონისძიებანი.

მომხსენებელი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი.

3. „სკკპ XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოს სსრ საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების თაობაზე“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII (1975 წლის) პლენუმის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

მომხსენებელი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

მოხსენება დღის წესრიგის პირველ საკითხზე გააკეთა ზ. ა. ჩხეიძემ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, ჯავის რაიონის კვაისის მაღაროთსამმართველოს სამთო საამქროს მუშა ვ. ნ. კლიმენი, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი მ. ა. მეგრელიშვილი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მ. ხინობა, გორის რაიონის მეჯვრისხევის სოფლის კოოპერატივის სასურსათო მაღაზიის გამყიდველი ე. მ. გიგილაშვილი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე, რუსთავი-ვაჭრობის № 161 უნივერსალური სასურსათო მაღაზიის დირექტორი ნ. შ. შარაშენიძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი ა. მ. ოვერჩუკი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი კ. ს. ვირსალაძე, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ო. ვ. მელქაძე, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი ვ. ა. სოგოლევი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერული კომუნიზმის სექტორის გამგე რ. გ. გალანჩიკაძე, საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი გ. ი. ლოლაძე, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე კ. ნ. შავიშვილი, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი ნ. გ. ჩერქეზიშვილი, ქარხანა „მიკროძრავის“ მეგრაგნილე ლ. ნ. თოფურია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი ა. ი. გუნია, ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. ნ. დვალიშვილი, თბილისის ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის № 16 ატელიეს მკერავი, პარტჯგუფორგი ლ. ს. ცარციძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი კ. ე. კეთილაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ნ. ორჯონიკიძე.

შემდეგ მოხსენება დღის წესრიგის მეორე საკითხზე გააკეთა გ. ვ. კოლბინმა.

პლენუმი მუშაობას განაგრძობს. (საქინფორმი).

გავაუმჯობესოთ მუშაობა მეცხოველეობაში, გავზარდოთ პირუტყვის ჩასაბარებელი წონა

საზოგადოებრივი მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული პირუტყვის საშუალო წონა (კილოგრამებით)

	მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი		ცხვარი და თხა		ღორი		უმაღლესი ნასუქობის		საშუალო ნასუქობის		საშუალოზე ნაკლები ნასუქობისა და ფშლილ	
რაიონები და ავტონომიური რესპუბლიკები	1975 წ.	1976 წ.	1975 წ.	1976 წ.	1975 წ.	1976 წ.	1975 წ.	1976 წ.	1975 წ.	1976 წ.	1975 წ.	1976 წ.
ახალქალაქის	268	279	31	31	91	88	35	43	53	43	12	14
ბოგდანოვკის	281	282	30	30	150	—	70	64	25	27	5	9
ახალციხის	236	236	32	28	106	108	6	17	77	71	17	12
ადიგენის	242	238	—	28	100	94	22	29	68	55	10	16
ასპინძის	232	228	33	31	81	78	14	23	79	71	7	6
ხაშურის	228	219	60	50	72	69	9	40	86	53	5	7
ქარელის	241	231	24	27	88	90	12	14	81	81	7	5
გორის	252	268	30	28	94	88	28	39	69	58	3	3
კასპის	232	224	28	26	102	99	0,1	2	71	81	29	17
ბორჯომის	238	232	30	27	57	53	3	3	85	80	12	17
საგარეჯოს	241	243	28	29	93	117	24	25	62	61	14	14
გურჯაანის	305	283	28	23	93	86	85	71	14	25	1	4
სიღნაღის	262	267	23	24	97	95	11	20	80	70	9	10
წითელწყაროს	290	278	24	24	104	91	39	36	49	49	12	15
თელავის	241	237	28	27	77	81	4	1	81	88	15	11
ახმეტის	225	242	22	22	81	82	9	6	80	85	11	9
ყვარლის	280	273	29	32	73	70	4	2	90	93	6	5
ლაგოდეხის	266	264	—	—	88	87	2	2	90	91	8	7
გარდაბნის	254	250	21	24*)	96	91	11	7	74	78	15	15
მცხეთის	234	221	22	29	99	94	3	—	69	76	28	24
მარნეულის	255	248	22	28	85	84	31	26	50	60	19	14
გოლენისის	267	228	20	22	81	83	15	10	63	71	22	19
წალკის	229	237	21	24	81	75	16	26	63	57	21	17
დუშეთის	180	189	27	25	72	71	7	18	68	73	25	9
თეთრი წყაროს	229	227	21	20	80	81	19	11	64	59	17	30
დმანისის	259	246	23	28	75	71	13	19	68	74	19	7
თიანეთის	194	191	27	22	76	73	2	12	90	73	8	15
ყაზბეგის	—	—	28	25	—	—	—	—	—	—	—	—
სამხრეთ ოსეთის აო	198	201	28	26	74	66	3	15	81	71	16	14
ქ. წყალტუბოს	208	206	—	—	88	91	—	2	65	56	35	42
სამტრედიის	241	250	—	—	91	87	21	49	70	50	9	1
წულუკიძის	241	234	—	—	108	109	—	18	82	59	18	23
ვანის	262	244	—	—	111	102	3	7	91	91	6	2
მაიაკოვსკის	201	198	—	—	102	91	—	—	82	89	18	11
ზესტაფონის	182	194	—	—	93	90	1	9	56	81	43	10
თერჯოლის	200	199	—	—	77	79	—	1	87	92	13	7
ქ. ჭიათურის	198	197	—	—	84	77	—	1	80	84	20	15
საჩხერის	223	222	—	—	81	80	1	12	96	86	3	2
ორჯონიკიძის	223	217	—	—	99	89	—	—	83	83	17	17
ქ. ტყიბულის	184	205	—	—	94	89	—	9	46	62	54	29
ონის	216	195	—	—	67	62	—	—	80	85	20	15
ამბროლაურის	236	218	—	—	71	59	—	—	73	68	27	32
ცაგერის	244	196	—	—	101	98	—	—	79	58	21	42
ლენტეხის	230	133	—	—	69	55	—	—	92	87	8	13
აბაშის	233	244	—	—	87	88	26	34	70	59	4	7
ცხაკაიას	211	237	—	—	95	106	2	12	85	79	13	9
გეგეჭკორის	219	224	—	—	80	68	—	2	56	69	44	29
ზუგდიდის	272	269	—	—	98	85	19	22	71	68	10	10
ხობის	224	213	—	—	95	92	—	1	72	70	28	29
წალენჯიხის	255	226	51	39	82	76	—	—	78	83	22	17
ჩხოროწყუს	234	210	35	69	76	75	—	—	68	62	32	38
მახარაძის	259	268	—	—	91	88	2	2	69	75	29	23
ლანჩხუთის	244	228	—	—	68	68	7	14	74	69	19	17
ჩოხატაურის	163	169	—	—	69	67	3	10	49	46	48	44
მესტიის	179	187	—	—	—	—	12	28	84	56	4	16
აფხაზეთის ასსრ	219	211	27	20	78	84	3	5	52	56	45	39
აჭარის ასსრ	130	158	—	—	92	93	2	10	41	50	57	40
სულ საქართველოს სსრ-ში	241	235	27	25	89	87	20	22	64	63	16	15

*) 1976 წ. 9 თვის მონაცემები.

საქართველოს სსრ მშრომელთა 1977 წლისა და მეათე ხუთწლედის სოციალისტური ვალდებულებანი

საქართველოს სსრ მშრომელები დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ საბჭოთა ხალხმა, რომელიც აღფრთოვანებით ახორციელებს პარტიის XXV ყრილობის დიად წინასწარდასახულობებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, წარმატებით შეასრულა მეათე ხუთწლედის პირველი წელი. გასული წელი იყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი ზრდის, მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესების წელი. ამ წელს კიდევ უფრო მეტი ავტორიტეტი, როლი და გავლენა მოიპოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

ხაქართველოს სს რესპუბლიკისათვის მეათე ხუთწლედის პირველი წელი უაღრესად ძნელი იყო დასახული მიჯნების მიღწევისათვის ბრძოლაში. დიდთოვლობისა და ძლიერი ყინვების შედეგად წლის დამდეგს შეფერხდა საწარმოთა მუშაობა, ძლიერ დაზიანდა ვენახები.

მაგრამ მუშების, კოლმეურნეების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, მეცნიერების, ყველა მშრომელის თავდადებული შრომის მეოხებით ეს სიძნელენი ღირსეულად დავძლიეთ. თვითეულის მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობა. შემოქმედება მუშაობაში გამოიწვიეს იმ დიდმა მოვლენებმა, რომლებითაც 1976 წელი აღინიშნა. ეს იყო პარტიის XXV ყრილობა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ, ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის იუბილე.

ყოველივე ამან ბევრად განაზღვრა რესპუბლიკის მშრომელთა 1976 წლის სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება.

რესპუბლიკის მრეწველობაში წარმოების ზრდის ტემპმა 5,2 პროცენტი შეადგინა დავალებით გათვალისწინებული 4,7 პროცენტის ნაცვლად. წლიური პროგრამა შესრულდა 25 დეკემბერს, როგორც ვალდებულებებით იყო დასახული. გეგმის გადაჭარბებით გამომუშავებულია 141,9 მილიონი მანეთის, ხოლო რეალიზებულია 145,9 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

ხარისხისნიშნიანი ნაწარმის რიცხვი 250-დან 400-მდე გაიზარდა, ხოლო ამ პროდუქციის ხვედრითი წონა წარმოების საერთო მოცულობაში გაორკეცდა.

სამშენებლო ორგანიზაციებმა შეასრულეს ახალი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების ამოქმედების ვალდებულებანი, გადაჭარბებით გაანაღდეს საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საბავშვო ბაღების, საავადმყოფოების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ჩაბარების საგეგმო დავალებანი, საექსპლოატაციოდ არის გადაცემული სოციალურ-კულტურული დანიშნულების ისეთი დიდი ობიექტები, როგორიცაა „დინამოს“ სტადიონი, დასასვენებელი სახლი „მზიური“, პანსიონატი „პრავდა“.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს მარცვლეულის, ხილის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ციტრუსის, ხორცის, რძის, კარტოფილისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის წარმოების დადგენილი დავალებანი. გასული სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგებით სოფლის მეურნეობის 3.400 მოწინავეს მიენიჭა მთავრობის ჯილდოები.

საქართველოს სსრ მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილს კოლმეურნეებისადმი, საბჭოთა მეურნეობების მუშებისადმი, მექანიზატორებისადმი, მეცნიერებისადმი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი, სოფლისათვის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მიმწოდებელი მრეწველობის მუშაკებისადმი, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელისადმი.

1977 წლისა და მეათე ხუთწლედის გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს რესპუბლიკის მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის საუკეთესო წარმომადგენლებმა, მაგალითად, გ. კურტანიძის ჩამომსხმელთა, გ. რიმნისთაველის მეფეხსაცმელეთა ბრიგადებმა, სოფლის მექანიზატორმა ვ. მეუნარგიამ, საწარმოების, სამშენებლო ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავე კოლექტივებმა.

საქართველოს სსრ მშრომელები, რომლებმაც დაუცხრომელი და აქტიური ბრძოლა გააჩაღეს სკკპ XXV

(გაგრძელება მე-2 გვ.).



ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა — ბროშურად

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ ბროშურად გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წარმოთქმული სიტყვა 1977 წლის 18 იანვარს ტულის საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა გმირი ქალაქის „ოქროს ვარსკვლავის“ მედლის გადაცემას.

ბროშურა „ტულის დამცველთა დიდი გმირობა“ მასობრივი ტირაჟითაა გამოცემული. (საკდესი).

გადაეცათ ჯილდოები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში საზეიმო ვითარებაში გაიმართა მთავრობის მაღალი ჯილდოების გადაცემა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ვ. ლაშქარაშვილმა წაიკითხა ბრძანებულებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა ლენინის ორდენი, ოქროს medალი „ნამგალი და ურო“, სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდების მინიჭების სიგელი გადასცა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა სახელოვან წარმომადგენლებს — გაგრის ჯიშთსანაშენე საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ვ. რ. ძნელაძეს, მახარაძის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეს ა. ა. ტოროტაძეს და „საქსოფლტექნიკის“ გორის რაიონული გაერთიანების ტრაქტორისტთა ბრიგადის ხელმძღვანელს გ. ა. ცერცვაძეს.

შრომის წითელი დროშის ორდენები მიიღეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დ. დ. დიასამიძემ და საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ი. გ. ხაზარაძემ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპეციალური სიგელი გადაეცა სოციალისტური შრომის გმირს პერსონალურ პენსიონერს ნ. მ. ესაკიას, რომელსაც ეს ჯილდო მიენიჭა მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდა ვ. რ. ძნელაძე, რომელმაც მხურვალე მადლობა უძღვნა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას შრომის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა გულთბილად და გულითადად მიულოცა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საუკეთესო მშრომელებს, ყველა დაჯილდოებულს.

(საქინფორმი).

ესაუბლიკის მეცხოველეობამ, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებებს, 1976 წელს გარკვეული წარმატებანი მოიპოვეს ხორცის დამზადებაში.

კერძოდ, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიზარდა უმაღლესი ნასუქობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხვედრითი წონა. საზოგადოებრივ მეურნეობებში მან 22 პროცენტი შეადგინა — 2 პროცენტით მეტი, ვიდრე 1975 წელს. საშუალო ნასუქობის მაჩვენებლები შესაბამისად უდრიდა 64-63 პროცენტს. შემცირდა საშუალოზე ნაკლები ნასუქობისა და მჭლე პირუტყვის პროცენტი.

თავი გამოიჩინეს სიღნაღის, გურჯაანის, ახპნდის, წალკის, დუშეთის, ვანის, ზესტაფონისა და სხვა რაიონის მეურნეობებმა.

ამასთანავე ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა სახელმწიფოს კვლავ აბარებენ მცირე წონისა და დაბალი კონდიციის პირუტყვს. მაგალითად, 1975 წელს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო წონამ რესპუბლიკაში შეადგინა 241 კილოგრამი, მაშინ, როცა შარშან ეს მაჩვენებელი 235 კილოგრამამდე შემცირდა. განსაკუთრებით მცირე წონის პირუტყვს აბარებენ ქარელის, ხაშურის, მცხეთის, ბოლნისის, დმანისის, ჩხოროწყუს, ლანჩხუთისა და ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

შემცირდა აგრეთვე ჩაბარებული ცხვრისა და თხის საშუალო წონა. მან შეადგინა 25 კილოგრამი 1975 წლის 27 კილოგრამის ნაცვლად; ღორის საშუალო წონა 87 კილოგრამი იყო წინა წლის 89 კილოგრამის ნაცვლად. ჩამორჩენილთა შორისაა ახალციხის, ბორჯომის, თიანეთის, გორის, მცხეთის, ამბროლაურის, მთელი რიგი სხვა რაიონებისა და სამხრეთ ოსეთის მეურნეობები.

როგორც ცხრილიდან ჩანს, რესპუბლიკის ბევრმა საზოგადოებრივმა მეურნეობამ ჯერ კიდევ ვერ შეძლო დამკვრელურად გარდაექმნა მუშაობა, მკვეთრად დაეწინაურებინა მეცხოველეობა, აემოქმედებინა ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში არსებული შინაგანი რეზერვები.

ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სახოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, როგორც ჩანს, შეაღწიეს კონტროლი დარგის სახელმწიფო დავალებების შესრულებისადმი, სათანადო ყურადღებას არ უთმობდნენ მაღალხარისხოვანი საკვების დამზადებას, შერჩეული პირუტყვის დაკვლისწინა სუქების მეთოდებს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მეურნეობათა შემოსავალსა და რესპუბლიკის ხორცის რესურსებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებას, ბევრ რამეს აკეთებს დარგის შემდგომი ინტენსიური განვითარებისათვის, და ყველა რაიონული ხელმძღვანელის, მეურნის, ფერმების მუშაკების ვალია ყველაფერი იღონონ, რათა აღმოფხვრან ხარვეზები, რაც შეიძლება მალე მოაგვარონ მუშაობა სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის გამოზრდა-სუქებისათვის, მათი ჩასაბარებელი წონის გადიდებისათვის, უზრუნველყონ ხუთწლედის მეორე წლის სახელმწიფო გეგმებისა და ვალდებულებების უთუო შესრულება.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ მშრომელთა 1977 წლისა და მეათე ხუთწლედის სოციალისტური ვალდებულებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

ყრილობის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, დიდი ოქტომბრის 60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, კისრულობენ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:

I. მეათე ხუთწლედისათვის

1. უზრუნველყონ სამრეწველო წარმოების მოცულობის ზრდა 41 პროცენტით. გეგმის გადაჭარბებით აწარმოონ 800 მილიონი მანეთის პროდუქცია. რესპუბლიკის ხუთწლიანი გეგმა შეასრულონ ვადაზე ერთი თვით ადრე, ხოლო ისეთ საწარმოებში, როგორიცაა ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელი“, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელი“, „მშენინდუსტრიის“ ტრესტის თბილისის მოსაპირკეთებელი მასალების კომბინატი, „საქსოფლმშენინდუსტრიის“ ტრესტის ლილოს რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანა, თბილისის სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკა, თელავის წინდის ფაბრიკა, სოხუმის თევზკომბინატი, თბილისის კონიაკის კომბინატი, ბოგდანოვკის ყველ-კარაქის ქარხანა და სხვები — 1980 წლის 7 ნოემბრისათვის.

2. კოლექტივების მეცადინეობა მოახმარონ ყველა სახეობის პროდუქციის მაღალი ხარისხის მიღწევას, უმაღლესი კატეგორიის ნაწარმის გამოშვების გადიდებას.

ხარისხის სახელმწიფონიშნიანი ნაწარმის რიცხვი ხუთწლედში გაზარდონ 6-ჯერ (250-დან 1.500 დასახელებამდე), ხოლო მათი წარმოების მოცულობა — 115 მილიონი მანეთიდან 1.300 მილიონ მანეთამდე.

3. დააჩქარონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, მეცნიერული ნამუშევრების დანერგვის ტემპი, ყოველნაირად განავითარონ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მოძრაობა და მათი წინადადებების განხორციელების შედეგად მიიღონ 230 მილიონი მანეთი პირობითი ეკონომია.

4. გაუმჯობესონ ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენება მოწყობილობის უფრო ეფექტიანი გამოყენების გზით. მანქანათმშენებლობაში ჩარხების ცვლიანობის კოეფიციენტი გაზარდონ 20 პროცენტით, ძირითადი საწარმოო ფონდების ფონდუკუგება გაადიდონ 1,59-დან 1,7 მანეთამდე.

5. სისტემატურად განაახლონ სახალხო მოხმარების საქონლის ნომენკლატურა, გაუმჯობესონ მისი ხარისხი. მოაწყონ ადგილობრივი ქვანახშირით მომუშავე გასათბობი აგრეგატების წარმოება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისათვის, აგრეთვე სახალხო მოხმარების სხვა საქონლის წარმოება. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მოცულობა გაზარდონ 40 პროცენტით.

6. მიაღწიონ ობიექტების მშენებლობის ვადების მნიშვნელოვან შემცირებას, მათი თვითღირებულების გაიაფებას. განავითარონ სიმძლავრენი, უწინარეს ყოვლისა მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების გზით. 1.300 მილიონი მანეთით გაზარდონ წარმოების მოცულობა მინიმალური კაპიტალური დაბანდების ხარჯზე რეკონსტრუქციის გზით.

ხუთწლედში 200-250 მილიონი მანეთით შეამცირონ დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა.

7. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა შეასრულონ 1980 წლის 15 დეკემბრისათვის.

ვადების გასწრებით დაამთავრონ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, შეასრულონ ქუთაისის საავტომობილო, რუსთავის მეტალურგიული ქარხნების რეკონსტრუქციის სამუშაოები. განახორციელონ შავი ზღვის გაუუქყიანების თავიდან აცილების ღონისძიებათა მთელი კომპლექსი.

ააშენონ:

5 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ანუ 460 ათასი კვადრატული მეტრით მეტი, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში; სკოლები — 130 ათასი მოსწავლისათვის, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებანი — 21 ათასი ბავშვისათვის, საავადმყოფოები — 6.800 საწოლით, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები — 16 ათასი მოსწავლისათვის.

8. სოფლის მეურნეობის მუშაკებისა და ყველა მშრომელისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილის პასუხად გადაწყდა მეათე ხუთწლედში აწარმოონ 9.600 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია, რაც 2.170 მილიონი მანეთით აღემატება „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებებით“ საქართველოს სს რესპუბლიკისათვის გათვალისწინებულ დონეს.

1980 წელს 1975 წელთან შედარებით გაზარდონ სახელმწიფოსათვის ჩაბარება:

ხორცისა	— 25 პროცენტით,
საადრეო კარტოფილისა	— 2-ჯერ და მეტად,
ყურძნისა	— 75 პროცენტით,
ხარისხოვანი ჩაის ფოთლისა	— 15 პროცენტით,
ციტრუსისა	— 20 პროცენტით,
ხილისა	— 70 პროცენტით,
ბოსტნეულისა	— 50 პროცენტით.

აამაღლონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რენტაბელობის დონე 25 პროცენტით, ძირითადად ადმოფხვრან მეურნეობათა ზარალიანობა.

9. ხუთწლედის განმავლობაში მოსახლეობას გეგმის გადაჭარბებით მიჰყიდონ საქონელი: სახელმწიფო ვაჭრობაში — 100 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულებისა, ხოლო სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში — 60 მილიონი მანეთისა. ვაჭრობის სამინისტროს ხაზით სავაჭრო ქსელის განვითარების საგეგმო დავალებებს გადააჭარბონ 4 ათასი კვადრატული მეტრი, სამომხმარებლო კოოპერაციაში — 3 ათასი კვადრატული მეტრი სავაჭრო ფართობით, სახელმწიფო ვაჭრობის ხაზით საზოგადოებრივ კვებაში — 1.200 ადგილით, სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში — 2.000 ადგილით. ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში მუშაკთა საერთო რიცხვში ქალთა ხვედრითი წონა გაზარდონ 76 პროცენტამდე, სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში — 55 პროცენტამდე.

10. საყოფაცხოვრებო მომსახურების ხაზით ზრდის საშუალო-წლიური ტემპი გაზარდონ 11,2 პროცენტიდან 12 პროცენტამდე, ამით მიაღწიონ საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებს და მთლიანად ხუთწლედში 4 მილიონი მანეთის გადაჭარბებით შეასრულონ საგეგმო დავალებანი. საექსპლოატაციოდ გადასცენ 160 პუნქტიანი ტექნიკური მომსახურების სადგურები, სულ ცოტა 4 ათას სამუშაოადგილიანი საყოფაცხოვრებო სახლები, აგრეთვე მომსახურების სპეციალიზებულ საწარმოთა მთელი რიგი სხვა ობიექტები.

11. უზრუნველყონ შეჯიბრებაში წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების საყურადღებო თაოსნობათა ფართო გავრცელება:

— თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის სოციალისტური შრომის გმირის გიორგი კურტანიძის ჩამომსხმელთა ბრიგადის თაოსნობა, — ნატურალური განზომილებით პროდუქციის მაქსიმალური ართმევისა და თვითეულ სამუშაო ადგილზე ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესების შესახებ;

— ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის გივი რიმნისთაველის გამომკვეთთა ბრიგადის თაოსნობა, თვითეულ სამუშაო ადგილზე შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და დაზოგილი ნედლეულით დამატებითი პროდუქციის გამოშვების შესახებ;

— სოციალისტური შრომის გმირის ქვეყნის წარჩინებული მშენებლის ნ. ზლობინის ბრიგადის თაოსნობა — მშენებლობაში საიჯარო მეთოდის დანერგვის შესახებ;

— რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის თაოსნობა — დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველყოფის შესახებ;

— ქუთაისელ ავტომობილმშენებელთა თაოსნობა — მინიმალური კაპიტალური დაბანდების ხარჯზე საწარმოს რეკონსტრუქციის გზით ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესების შესახებ;

— ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის კოლექტივის თაოსნობა — ყოველ კვადრატულ მეტრ საწარმოო ფართობზე პროდუქციის გამოშვების მოცულობის გადიდების შესახებ;

— გალის, მახარაძის, ზუგდიდის რაიონების კომკავშირული ორგანიზაციების თაოსნობა — ერთ ხუთწლედში ჩაის წარმოების ორი ხუთწლიანი გეგმის შესრულების შესახებ; გორის, გურჯაანის, რაიონების კომკავშირული ორგანიზაციების თაოსნობა — ბაღებისა და ვენახების მეჩხერიანობასთან ბრძოლაში ახალგაზრდული კოლექტივების როლის გაძლიერების შესახებ; კასპის რაიონის კომკავშირული ორგანიზაციის თაოსნობა — „თუ სოფლად ცხოვრობ — დაეუფლე მექანიზატორის პროფესიას!“ მოძრაობის გავრცელების შესახებ.

შემოქმედებითად გაავრცელონ და გამოიყენონ მუშაობის მოწინავე გამოცდილება: აბაშის რაიონისა — სიმინდის წარმოებაში; ახალქალაქის რაიონისა — კარტოფილის წარმოებაში; გურჯაანის რაიონისა — ხორცის წარმოებაში.

II. საპუბლიკო 1977 წელს

მრეწველობაში, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში

1. უზრუნველყონ წარმოების ზრდის ტემპი 7,1 პროცენტით და წლიური გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის, გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან 150 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ამასთან გეგმის გადაჭარბებით აწარმოონ:

თუჯი	— 3.200 ტონა,
ფოლადი	— 900 ტონა,
ნაგლინი	— 2.500 ტონა,
ფოლადის მილები	— 2.000 ტონა,
სასაქონლო მანგანუმის მადანი	— 26.000 ტონა,
ფეროშენადნობები	— 5.600 ტონა,
სულფატ-აზოტიანი სასუქები	— 20.000 ტონა,
აბიაკი	— 5.000 ტონა,
ნავთობი	— 50.000 ტონა,
ქვანახშირი	— 50.000 ტონა,
ქიმიური ბოჭკოები	— 70 ტონა,
კაზ-608ვ ავტომობილები	— 200 ცალი,
„ვოლგის“ ტიპის კატარღები	— 5 ცალი.
ატნ არტეზიული ტუმბოები	— 60 ცალი,
ეცნ ნავთობსატუმბი ტუმბოები	— 50 ცალი,
ვპლ-20 ყურძნის გადასამუშავებელი ნაკადური ხაზები	— 5 კომპლექტი,
ლითონსაჭრელი ჩარხები	— 30 ცალი,
გაზის ქურები	— 1.000 ცალი,
აბრეშუმის ქსოვილები	— 110 ათასი გრძივი მეტრი,
წინდები	— 550 ათასი წყვილი,
ტრიკოტაჟის საცვალი	— 400 ათასი ხელი,
ზედა ტრიკოტაჟი	— 20 ათასი ხელი,
შეკერილი ნაწარმი	— 3,5 მილიონი მანეთისა,
ტყავსაქონელი	— 500 ათასი კვადრატული დეციმეტრი,
სამხატვრო სარეწების ნაწარმი	— 1 მილიონი მანეთისა,
საგალანტერიო ნაწარმი	— 500 ათასი მანეთისა,
ბაიხაო (შავი) ჩაი	— 1.500 ტონა.

2. გააჩაღონ ბრძოლა ყველა სახეობის პროდუქციის მაღალი ხარისხის მიღწევისათვის, ხარისხის უმაღლესი კატეგორიის ნაწარმის გამოშვების გადიდებისათვის, რის შედეგადაც ხარისხის სახელმწიფონიშნიანი ნაწარმის რიცხვი გაადიდონ 400-დან 580 დასახელებამდე, ხოლო რესპუბლიკის საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის საერთო მოცულობაში ასეთი პროდუქციის ხვედრითი წონა გაზარდონ 4 პროცენტიდან 7 პროცენტამდე.

ფართოდ გაავრცელონ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ლვოვის ოლქის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების გამოცდილება პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის შემუშავებისა და დანერგვის შესახებ. იმუშაონ და ეტაპობრივად დანერგონ ეს სისტემა 230 საწარმოში, აგრეთვე ქალაქ ქუთაისის გამოცდილების მიხედვით დაამთავრონ რესპუბლიკის ყველა ქალაქში ხარისხის ხუთწლედის ჩატარების პერსპექტიული გეგმების შედგენა.

3. მოაგვარონ მუშაობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებისათვის, სამეცნიერო ნამუშევრების ფართო დანერგვისათვის, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მოძრაობის განვითარებისათვის.

აითვისონ 330 ახალი სახეობის სამრეწველო პროდუქციის წარმოება, მათ შორის ისეთი პროდუქციისა, როგორიცაა ვლ-11 სამგზისტრალო ელმავლები, ჰსმ—5,5 თვითმავალი მანქანები და დდ-50 და დდ-80 აპარატები სოფლის მეურნეობისათვის, ახალი ტიპის კატარღები და სხვა.

ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმები შეასრულონ 20 დეკემბრამდე.

წარმოებაში დანერგონ 23.000 რაციონალიზატორული წინადადება და ამ გზით მიიღონ 45 მილიონი მანეთი პირობითი ეკონომია.

4. გაზარდონ შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 1976 წელთან შედარებით 6 პროცენტით, დავალებით გათვალისწინებული 5,6 პროცენტის ნაცვლად. უზრუნველყონ მრეწველობის პროდუქციის მატების 85 პროცენტი შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით.

5. გაადიდონ ძირითადი საწარმოო ფონდების ფონდუკუგება 0,2 პროცენტით და გაზარდონ პროდუქციის მოცულობა 1 მანეთის ძირითად ფონდებზე 1 მანეთამდე და 60 კაპიკამდე. ეს უზრუნველყონ მოწყობილობის უკეთ გამოყენების გზით.

6. ყველგან იბრძოლონ მომჭირნეობის რეჟიმის განუხრელი დაცვისათვის, მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის;

7. შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობაში 0,2 პროცენტით და მიიღონ 5 მილიონი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

8. განაახლონ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო მოხმარების საქონლის ნომენკლატურა და გაადიდონ მისი გამოშვება 30 მილიონი მანეთით 1976 წელთან შედარებით.

განახორციელონ საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები, რათა 1978 წლიდან მოეწყოს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისათვის განკუთვნილი ადგილმბრივ ქვანახშირზე მომუშავე სათბობი აგრეგატების წარმოება.

9. უზრუნველყონ მრეწველობის პროდუქციის მატება შინამალური კაპიტალური დაბანდებით განხორციელებული საწარმოთა რეკონსტრუქციის გზით 240 მილიონი მანეთის მოცულობით, ანუ პროდუქციის ნამატის საერთო მოცულობის 55 პროცენტის ოდენობით.

10. აამაღლონ ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის მუშაობის, აგრეთვე გაზიფიკაციის დონე მეათე ხუთწლედის გაზრდილი ამოცანების შესაბამისად.

წლიური გეგმის დამატებით დატვირთონ და გაგზავნონ რკინიგზის ტრანსპორტით 200 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, გადაზიდონ საავტომობილო ტრანსპორტით — 1,5 მილიონი ტონა, საზღვაო ტრანსპორტით — 20 ათასი ტონა ტვირთი, ავიატრანსპორტით გადაიყვანონ 17 ათასი მგზავრი. უზრუნველყონ სამი კიდული საბაგირო გზის ვადამდე ამოქმედება.

გახსნან 30 კავშირგაბმულობის განყოფილება. დააყენონ გეგმის დამატებით რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში 500 ტელეფონი, სოფლად — 100 ტელეფონი. გადასცენ საექსპლოატაციოდ გეგმის გადამეტებით 3.300 — ნომრიანი საქალაქო სატელეფონო სადგურები, 200-ნომრიანი სასოფლო სატელეფონო სადგურები.

გეგმის დამატებით გაზი გაიყვანონ 2.000 ბინაში, აქედან სოფლად — 1500 ბინაში, საექსპლოატაციოდ გადასცენ 13 კილომეტრი გაზსადენი.

მუშაობა ხაზით

11. უზრუნველყონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის ზრდის ტემპი 1976 წელთან შედარებით 10 პროცენტის ოდენობით, შეასრულონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა 28 დეკემბრისათვის.

12. გამოიმუშაონ საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში 1,5 მილიონი მანეთის დამატებითი პროდუქცია, აქედან აწარმოონ გეგმის გადამეტებით: 8 ათასი ტონა ცემენტი, 50 ათასი კუბური მეტრი ინერტული მასალები, 8 ათასი კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილები, 10 ათასი კვადრატული მეტრი მარმარილოს მოზაიკური ფილები.

13. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავის აღსანიშნავად ვადამდე გადასცენ საექსპლოატაციოდ მელიორირებული მიწები 21.600 ჰექტარ ფართობზე, დაასრულონ ისეთი ობიექტების მშენებლობა, როგორიცაა თბილისის ხორცკომბინატი, ოთხი პირველადი მეღვინეობის ქარხანა, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი, ა. გრიბოედოვის სახელობის დრამატული თეატრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლი, სასტუმრო „ინტურისტი“ ქალაქ თელავში, ხაშ-მესტიის საავტომობილო გზა, სკოლები 26 ათასი მოსწავლისათვის; საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1, 7 და 14 ტრესტებში გაანაღდონ საცხოვრებელი ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური პროგრამა 7 ნოემბრისათვის.

14. კაპიტალური დაბანდების უფრო ეფექტიანი გამოყენების გზით უზრუნველყონ დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირება 60 მილიონი მანეთით, განაგრძონ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების კონცენტრაციის კურსი და თავი მოუყარონ მათ უწინარეს ყოვლისა უმნიშვნელოვანეს ასამოქმედებელ ობიექტებზე, ისეთებზე, როგორიცაა ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის, ჭიათურის მანგანუმის კომბინატის, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის, რუსთავის ქიმიური ქარხნის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ობიექტები და სხვები.

15. საექსპლოატაციოდ გადასცენ 30 ათასი კვადრატული მეტრით მეტი ფართობის საცხოვრებელი ბინები, ვიდრე 1976 წელს. წლის დამლევამდე მაქსიმალურად აითვისონ სიმძლავრენი თბილისისა და გორის სახლთსაშენებელ კომბინატებში.

შემუშავებული ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელების გზით გაუმჯობესონ სადურგლო ნაწარმისა და კვეულის, საკედლე და მოსაპირკეთებელი მასალების ხარისხი, საექსპლოატაციოდ გადასცენ „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასებით ობიექტების სულ ცოტა 80 პროცენტი.

16. გაზარდონ ნ. ზლობინის მეთოდით მომუშავე ბრიგადების რიცხვი საერთო რაოდენობის 45 პროცენტამდე. შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვის, ტექნიკური პროგრესის შრომატევადი პროცესების მექანიზაციის გზით უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების ზრდა სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებში 0,2 პროცენტით გეგმასთან შედარებით.

17. მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, შენახვის გაუმჯობესების, ღონისძიებათა სისტემატური განხორციელებისა და საწარმოო ნარჩენების მნიშვნელოვანი შემცირების გზით დაზოგონ: 5 პროცენტამდე ცემენტი, 5 პროცენტამდე ლითონი, 12 პროცენტამდე ხე-ტყის მასალა.

შეამცირონ დავალების დამატებით სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება 0,1 პროცენტით.

18. ააშენონ და განაახლონ საერთო სახელმწიფოებრივი, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები 92 კილომეტრზე გეგმით გათვალისწინებული 90 კილომეტრის ნაცვლად.

19. უზრუნველყონ კომუნალური მეურნეობის შემდგომი განვითარება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საბინაო ფონდისა და კომუნალური დანიშნულების ობიექტების ექსპლოატაციის თვისებრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, განაგრძონ შავი ზღვის აუზის გაუუქყიანების აღსაკვეთი პროგრამის განხორციელება, ამასთან უთუოდ უზრუნველყონ დაგეგმილ სიმძლავრეთა ამოქმედება დაწესებულ ვადაში. 25 დეკემბრამდე შეასრულონ საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტის გეგმა.

20. ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოში მშენებლობის წლიური პროგრამა 28 დეკემბრისათვის შეასრულონ, დამატებით შეასრულონ 300 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. ჩაასხან თაღოვან კაშხალში დავალებით დაწესებულზე 20 ათასი კუბური მეტრით მეტი ბეტონი.

21. ძირფესვიანად გაუმჯობესონ კომკავშირულ ორგანიზაციათა შეფობა. შავი მეტალურგიისა და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის ობიექტების მშენებლობისადმი. გაგზავნონ ხუთწლედის უმნიშვნელოვანეს მშენებლობებზე 1.600 ჰაბუკი და ქალიშვილი.

22. სოფლის მეურნეობისადმი საშეფო დახმარების წესით, სამრეწველო საწარმოთა და სამშენებლო ორგანიზაციათა ძალებით საექსპლოატაციოდ გადასცენ 200 ათასი ტონა ტევადობის სასენაჟე ტრანშეები, სულ ცოტა 40 საკვების საამქრო.

სოფლის მეურნეობის ხაზით

წარმოების კულტურისა და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონის ყოველმხრივი ამაღლებისა და ინტენსიფიკაციის გზით უზრუნველყონ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარება.

23. მემცენარეობის დარგში — რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში გაადიდონ ჰექტარობრივი მოსავლიანობა:

სამარცვლე კულტურებისა	— 23 ცენტნერამდე,
ყურძნისა	— 55 ცენტნერამდე,
ხარისხოვანი ჩაის ფოთლისა	— 65 ცენტნერამდე,
შაქრის ჭარხლისა	— 380 ცენტნერამდე,
კარტოფილისა	— 130 ცენტნერამდე,
ბოსტნეულისა	— 140 ცენტნერამდე,
ხილისა	— 42 ცენტნერამდე,
ციტრუსისა	— 73 ცენტნერამდე.

აწარმოონ მთლიანად რესპუბლიკაში:

მარცვლეული	— 900 ათასი ტონა,
ყურძენი	— 630 ათასი ტონა,
ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი	— 360 ათასი ტონა,
შაქრის ჭარხალი	— 131 ათასი ტონა,
კარტოფილი	— 360 ათასი ტონა,
ბოსტნეული	— 510 ათასი ტონა,
ხილი	— 492 ათასი ტონა,
ციტრუსი	— 180 ათასი ტონა.

სულ მიაყიდონ სახელმწიფოს:

მარცვლეული	— 150 ათასი ტონა,
ყურძენი	— 460 ათასი ტონა,
ხილი	— 345 ათასი ტონა,
ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი	— 360 ათასი ტონა,
ციტრუსი	— 130 ათასი ტონა,
შაქრის ჭარხალი	— 130 ათასი ტონა,
კარტოფილი	— 110 ათასი ტონა,
ბოსტნეული	— 275 ათასი ტონა,
ბაღჩეული	— 12 ათასი ტონა,
თამბაქო	— 19 ათასი ტონა,
ეთერზეთოვანი ნედლეული	— 27 ათასი ტონა.

24. მეცხოველეობის დარგში — გაზარდონ საშუალო წველადობა ერთ საფურაჟე ძროხაზე 1700 კილოგრამამდე, მეკვერცხულობა ერთ მოქცეულზე — 180 ცალამდე. გაადიდონ მონაგები 100 ძროხასა და უშობელზე გაანგარიშებით გეგმასთან შედარებით 3 სულით, 100 ცხვარზე — 3 ბატკნით; გაზარდონ სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი პირუტყვის საშუალო ცოცხალი წონა 1976 წელს მიღწეულთან შედარებით 23 კილოგრამით, ანუ გაადიდონ 260 კილოგრამამდე.

მიაღწიონ მეცხოველეობის საკვები ბაზის შემდგომ განვითარებას, ჩადონ 900 ათასი ტონა სენაჟი საგეგმო 800 ათასი ტონის ნაცვლად, 50 ათასი ტონა დამუშავებული ნამჯა და ჩალა, 600 ათასი ტონა თივა საგეგმო 560 ათასი ტონის ნაცვლად, 880 ათასი ტონა სილოსი საგეგმო 860 ათასი ტონის ნაცვლად, აქედან 60 პროცენტი — კარბამიდის დანამატიანი; აწარმოონ ხელოვნურად გამოშრობილი 36 ათასი ტონა ბალახის ვიტამინიზებული ფხვნილი, შესანახად ჩადონ 200 ათასი ტონა საფურაჟე მარცვალი, აქედან 5 ათასი ტონა სოია.

გაზარდონ ძროხის სულადობა 7,7 ათასით, მოქცეულისა — 535 ათასით, სახალხო-სამეურნეო გეგმისა და დამატებითი დავალებების გადაჭარბებით დაამზადონ 5 ათასი ტონა ხორცი, 7 ათასი ტონა რძე, 5 მილიონი ცალი კვერცხი.

უზრუნველყონ, რომ სახელმწიფოს მიეყიდოს 140 ათასი ტონა (ცოცხალი წონა) ხორცი, 247 ათასი ტონა რძე, 360 მილიონი ცალი კვერცხი; გააორკეცონ სახელმწიფოსათვის პირველი ხარისხის რძის ჩაბარება; გაადიდონ სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი ნასუქარი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხვედრითი წონა 50 პროცენტამდე.

გაგზავნონ კომკავშირული საგზურებით მეცხოველეობის დარგში სამუშაოდ 2.300 კომკავშირელი და ახალგაზრდა.

იმ მიზნით, რომ მნიშვნელოვნად ამაღლდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის დონე, უზრუნველყოფილ იქნას მანქანა-ტრაქტორთა პარკის ორ ცვლად მუშაობა, მოამზადონ 1977 წელს 16 ათასამდე სხვადასხვა პროფილის მექანიზატორი.

25. საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროში პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობის გეგმა შეასრულონ 16 მილიონი მანეთის გადაჭარბებით და თვითღირებულების შემცირების გზით დამატებით მიიღონ 500 ათასი მანეთი მოგება.

ფქვილის წარმოების გეგმა გაანაღდონ ვადამდე, 20 დეკემბრისათვის.

კომბინირებული საკვების წარმოების გეგმა შეასრულონ ვადამდე — 15 დეკემბრისათვის, გამოუშვან 142 ათასი ტონა გრანულირებული კომბინირებული საკვები.

26. გაერთიანება „საქსოფლტექნიკაში“ დაამზადონ სულ ცოტა 100 ვაზსამყნობი მანქანა, გეგმის დამატებით გამოუშვან 470 ათასი მანეთის მრეწველობის პროდუქცია და გაარემონტონ 120 ტრაქტორი, 250 ძრავა და 5 ავტომობილი.

ვაჭრობის ხაზით

27. სახელმწიფო ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის გეგმა შეასრულონ ვადამდე — 28 დეკემბერს. უზრუნველყონ ზრდის ტემპი 1976 წელთან შედარებით 5,6 პროცენტის ოდენობით, გეგმით გათვალისწინებული 4,3 პროცენტის ნაცვლად. შეასრულონ საზოგადოებრივ კვებაში საკუთარი პროდუქციის გამოშვების გეგმა 400 ათასი მანეთის გადაჭარბებით.

რესპუბლიკის სახელმწიფო ვაჭრობის მაღაზიების ქსელის განვითარების გეგმას გადააჭარბონ 1000 კვადრატული მეტრით და უზრუნველყონ მისი ზრდა 1976 წელთან შედარებით 4 პროცენტის ოდენობით გათვალისწინებული 3,6 პროცენტის ნაცვლად, გაზარდონ კომკავშირულ-ახალგაზრდული მაღაზიების რაოდენობა 48 ერთეულით.

გააფართოონ თვითმომსახურების მაღაზიების ქსელი და გაადიდონ რესპუბლიკის სახელმწიფო ვაჭრობის მაღაზიების საერთო საქონელბრუნვაში მათი საქონელბრუნვის ხვედრითი წონა 44,5 პროცენტამდე 1976 წლის 43,5 პროცენტის ნაცვლად.

(დასასრული მე-3 გვ.).

საქართველოს სსრ მშრომელთა 1977 წლისა და მეათე ხუთწლედის სოციალისტური ვალდებულებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული).

გახსნან დიდ ფაბრიკა-ქარხნებში სასურსათო საქონლის შეკვეთის მაგიდები და გაადიდონ ამ მეთოდით ვაჭრობის მოცულობა 10 პროცენტით.

მოამზადონ წლის განმავლობაში სულ ცოტა 15.600 ვაჭრობის მუშაკი. გაგზავნონ ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში კომკავშირული საგზურებით 1700 ქალიშვილი და ჭაბუკი.

28. სამომხმარებლო კოოპერაციაში საქონელბრუნვის გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით გაყიდონ 15 მილიონი მანეთის საქონელი. საზოგადოებრივ კვებაში საკუთარი პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულონ 550 ათასი მანეთის გადაჭარბებით.

აწარმოონ 20 ათასი ცენტნერი ხორცი გეგმით გათვალისწინებული 6,4 ათასის ნაცვლად, შეასრულონ ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ვაჭრობის გეგმა 100,5 პროცენტით და მიჰყიდონ მოსახლეობას 220 ათას მანეთისაზე მეტი ზეგეგმითი საჭონელი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და ნედლეულის შესყიდვის გეგმა გაანაღდონ სულ ცოტა 10 პროცენტის გადაჭარბებით.

გაზარდონ ქალების ხვედრითი წონა სისტემის ბუშაკთა საერთო რიცხვში 5 პროცენტით.

აამაღლონ მექანიზებული შრომის დონე ვაჭრობაში 1,5-ჯერ. გეგმის დამატებით თვითმომსახურებაზე გადაიყვანონ 50 ვაჭრობის ობიექტი.

მიიღონ 1.750 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

მიაღწიონ წლის დამლევამდე, რომ საუკეთესო მომსახურების კოლექტივის წოდება მიენიჭოს სულ ცოტა 60 ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოს.

29. გაზარდონ დაფასოებული და შეფუთული ნაწარმის ხვედრითი წონა მისი გამოშვების საერთო მოცულობაში საცალო ვაჭრობის ქსელის მეშვეობით რეალიზაციისათვის.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ხაზით

30. საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობის ზრდის ტემპის 9,3 პროცენტიდან 10,1 პროცენტამდე გადიდების გზით მიაღწიონ საგეგმო დავალებათა შესრულებას 28 დეკემბრისათვის და გაუწიონ მოსახლეობას გეგმის დამატებით 700 ათასი მანეთის სხვადასხვა მომსახურება.

უზრუნველყონ საყოფაცხოვრებო სამსახურის უპირატესი განვითარება სოფლად. დანერგონ წლის დამლევამდე სულ ცოტა 25 ახალი სახეობის მომსახურება.

გაზარდონ ყველა ძირითადი სახეობის მომსახურებით უზრუნველყოფილი რაიონების რიცხვი 65 პროცენტამდე 1976 წლის 50 პროცენტის ნაცვლად.

სისტემად შემოიღონ სულ ცოტა 50 დიდ ატელიესა და სახელოსნოში შესრულებული სამუშაოს საფასურის განაღდება მომხმარებლისათვის შეკვეთის ჩაბარების შემდეგ. ამ საწარმოებში სამუშაოთა წარმოებას გაუძღვნენ პრინციპით — „ხარისხს მომხმარებელი განსაზღვრავს“, და გამოიყენონ მომსახურების ხარისხის ტალონები.

განახორციელონ ღონისძიებები, რათა მოსახლეობის ინდივიდუალური შეკვეთებით გაწეული მომსახურების ხვედრითი წონა 1976 წლის 91 პროცენტიდან გაზარდოს 92,5 პროცენტამდე.

გაადიდონ დარგში მომუშავე ქალების რიცხვი 1976 წლის მაჩვენებლებთან შედარებით სულ ცოტა 5 პროცენტით.

გაგზავნონ საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში კომკავშირული საგზურებით 600 ქალიშვილი და ჭაბუკი.

შეამცირონ ერთი მანეთის სარეალიზაციო პროდუქციაზე გასაწევი დანახარჯი 0,26 კაპიკით და მიიღონ ზეგეგმითი მოგება ყველა სახეობის საქმიანობაში 300 ათასი მანეთის ოდენობით.

7 ნოემბრისათვის ვადამდე გადასცენ საექსპლოატაციოდ ამბროლაურის, მესტიის, ონის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატები, ზესტაფონისა და წყალტუბოს ჰიგიენის სახლები.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ხაზით

31. უზრუნველყონ ფონდების სრული რეალიზაცია, შექმნან საჭირო პირობები საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის.

შეასრულონ საბითუმო საქონელბრუნვის წლიური გეგმა 27 დეკემბრისათვის, უზრუნველყონ 2 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის რეალიზაცია. საცალო საქონელბრუნვის გეგმა შეასრულონ 101 პროცენტით.

ზენორმატიული, ზედმეტი და გამოუყენებელი ნედლეულის, მასალებისა და მოწყობილობის მობილიზაციის გზით სამეურნეო ბრუნვაში მოაქციონ დავალებით გათვალისწინებულზე 100 ათასი მანეთით მეტი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

აამაღლონ დატვირთვა-გადმოტვირთვისა და სასაწყობო სამუშაოთა მექანიზაციის დონე და გაზარდონ იგი 87 პროცენტამდე.

მიიღონ ზომები მომარაგება-გასაღების ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაფართოებლად.

გაუმჯობესონ ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად მიმდინარე მუშაობა.

მეცნიერების დარგში და სასწავლებლების ხაზით

32. რესპუბლიკის მეცნიერები ვალდებულებას კისრულობენ, რომ განამტკიცებენ და გააღრმავებენ შემოქმედებითს თანამეგობრობას საწარმოო კოლექტივებთან, აამაღლებენ მეცნიერული კვლევის ეფექტიანობას და შეამცირებენ სახალხო მეურნეობაში ნაკვლევის დანერგვის ვადებს.

